

შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## შინაარსი

|                                          |   |
|------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... | 2 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....       | 3 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....  | 4 |

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                    |    |
|--------------------------------------------------------------------|----|
| 1 კომპანია და მისი საქმიანობა .....                                | 5  |
| 2 მომზადების საფუძვლები .....                                      | 6  |
| 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა ..... | 6  |
| 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....           | 9  |
| 5 ძირითადი საშუალებები .....                                       | 11 |
| 6 ფული და ფულის ეკვივალენტები .....                                | 12 |
| 7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                 | 12 |
| 8 მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები .....                | 12 |
| 9 კაპიტალი .....                                                   | 12 |
| 10 მოკლევადიანი სესხები .....                                      | 12 |
| 11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                             | 13 |
| 12 საერთო მოგება .....                                             | 13 |
| 13 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....                         | 13 |
| 14 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან .....                        | 14 |
| 15 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ .....                      | 15 |

**შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება      | შენიშვნა | 31.დეკ.21        | 31.დეკ.20        |
|-----------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>            |          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                    | 5        | 217 044          | 172 737          |
| არამატერიალური აქტივები                 |          | 6 299            | 8 092            |
| გაცემული სესხი                          |          | -                | 122 231          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>        |          | <b>223 343</b>   | <b>303 060</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>            |          |                  |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 6        | 507 726          | 609 945          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              | 7        | 305 849          | 104 329          |
| საგადასახადო აქტივები                   |          | 12 623           | 5 093            |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები       | 8        | 1 707 523        | 1 959 229        |
| გადახდილი ავანსები                      |          | 1 000 688        | 143 502          |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>        |          | <b>3 534 409</b> | <b>2 822 098</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                     |          | <b>3 757 752</b> | <b>3 125 158</b> |
| <b>კაპიტალი</b>                         |          |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                      |          | -                | -                |
| დაგროვილი ზარალი / გაუნაწილებელი მოგება | 9        | 1 420 311        | 746 379          |
| <b>სულ კაპიტალი</b>                     |          | <b>1 420 311</b> | <b>746 379</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>       |          |                  |                  |
| მოკლევადიანი სესხები                    | 10       | 1 716 960        | 1 689 786        |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები           | 11       | 158 613          | 275 494          |
| საგადასახადო ვალდებულებები              |          |                  |                  |
| მიღებული ავანსები                       |          | 461 868          | 413 499          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b>   |          | <b>2 337 441</b> | <b>2 378 779</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                |          | <b>2 337 441</b> | <b>2 378 779</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>    |          | <b>3 757 752</b> | <b>3 125 158</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

სერგო შულაროვი

დირექტორი

რუსუდან როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი


შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება      | შენიშვნა | 31.დეკ.21 | 31.დეკ.20 |
|-----------------------------------------|----------|-----------|-----------|
| გრძელვადიანი აქტივები                   |          |           |           |
| ძირითადი საშუალებები                    | 5        | 217 044   | 172 737   |
| არამატერიალური აქტივები                 |          | 6 299     | 8 092     |
| გაცემული სესხი                          |          | -         | 122 231   |
| სულ გრძელვადიანი აქტივები               |          | 223 343   | 303 060   |
| მოკლევადიანი აქტივები                   |          |           |           |
| ფული და ფულის ეკვივალენტები             | 6        | 507 726   | 609 945   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები              | 7        | 305 849   | 104 329   |
| საგადასახადო აქტივები                   |          | 12 623    | 5 093     |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები       | 8        | 1 707 523 | 1 959 229 |
| გადახდილი ავანსები                      |          | 1 000 688 | 143 502   |
| სულ მოკლევადიანი აქტივები               |          | 3 534 409 | 2 822 098 |
| სულ აქტივები                            |          | 3 757 752 | 3 125 158 |
| კაპიტალი                                |          |           |           |
| საწესდებო კაპიტალი                      |          | -         | -         |
| დაგროვილი ზარალი / გაუნაწილებელი მოგება | 9        | 1 420 311 | 746 379   |
| სულ კაპიტალი                            |          | 1 420 311 | 746 379   |
| მოკლევადიანი ვალდებულებები              |          |           |           |
| მოკლევადიანი სესხები                    | 10       | 1 716 960 | 1 689 786 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები           | 11       | 158 613   | 275 494   |
| საგადასახადო ვალდებულებები              |          | 461 868   | 413 499   |
| მიღებული ავანსები                       |          | 2 337 441 | 2 378 779 |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები          |          | 2 337 441 | 2 378 779 |
| სულ ვალდებულებები                       |          | 3 757 752 | 3 125 158 |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები           |          |           |           |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.



სერგო შულაროვი  
დირექტორი



  
რუსუდან როსტიაშვილი  
მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „ტრანსპორტერი“**

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

| სრული შემოსავლის ანგარიშგება                          | შენიშვნა | 2021             | 2020               |
|-------------------------------------------------------|----------|------------------|--------------------|
| ამონაგები                                             | 12       | 5 775 391        | 7 891 068          |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება              | 12       | (3 622 085)      | (5 262 265)        |
| <b>საერთო მოგება</b>                                  |          | <b>2 153 306</b> | <b>2 628 803</b>   |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები                     | 13       | (2 286 233)      | (1 949 061)        |
| სხვა შემოსავლები                                      |          | 815 591          | 2 023 872          |
| ფინანსური ხარჯი                                       |          | (119 379)        | (144 734)          |
| ფინანსური შემოსავალი                                  |          | 10 663           | 8 888              |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან                             |          | 239 731          | (358 853)          |
| სხვა ხარჯები                                          |          | (139 747)        | (120 865)          |
| <b>მოგება დაბეგრამდე</b>                              |          | <b>673 932</b>   | <b>2 088 050</b>   |
| მოგების გადასახადი                                    |          |                  |                    |
| <b>წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი</b> |          | <b>673 932</b>   | <b>2 088 050</b>   |
| <b>გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში</b>           |          | <b>746 379</b>   | <b>(1 341 671)</b> |
| გაცემული დივიდენდი                                    |          |                  |                    |
| <b>გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში</b>           |          | <b>1 420 311</b> | <b>746 379</b>     |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

სერგო შუდაროვი

რუსუდან როსტიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს „ტრანსპორტერი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

| სრული შემოსავლის ანგარიშგება                   | შენიშვნა | 2021        | 2020        |
|------------------------------------------------|----------|-------------|-------------|
| ამონაგები                                      | 12       | 5 775 391   | 7 891 068   |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება       | 12       | (3 622 085) | (5 262 265) |
| საერთო მოგება                                  |          | 2 153 306   | 2 628 803   |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები              | 13       | (2 286 233) | (1 949 061) |
| სხვა შემოსავლები                               |          | 815 591     | 2 023 872   |
| ფინანსური ხარჯი                                |          | (119 379)   | (144 734)   |
| ფინანსური შემოსავალი                           |          | 10 663      | 8 888       |
| ზარალი საკუთროს სხვაობიდან                     |          | 239 731     | (358 853)   |
| სხვა ხარჯები                                   |          | (139 747)   | (120 865)   |
| მოგება დაბეგვრამდე                             |          | 673 932     | 2 088 050   |
| მოგების გადასახადი                             |          |             |             |
| წლის წმინდა მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი |          | 673 932     | 2 088 050   |
| გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში           |          | 746 379     | (1 341 671) |
| გაცემული დივიდენდი                             |          |             |             |
| გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში           |          | 1 420 311   | 746 379     |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.



სერგო შულაროვი

დირექტორი





რუსუდან როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „ტრანსპორტერი“**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი     |
|-----------------------------------|-----------------------|-------------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი, 2018</b>         | <b>1 411 407</b>      | <b>(957 847)</b>        | <b>453 560</b>   |
| წლის მთლიანი სრული ზარალი         |                       | (383 824)               | (383 824)        |
| კაპიტალის შემცირება               | (5 000)               |                         | (5 000)          |
| <b>31 დეკემბერი, 2019</b>         | <b>1 406 407</b>      | <b>(1 341 671)</b>      | <b>64 736</b>    |
| წლის მთლიანი სრული მოგება         |                       | 2 088 050               | 2 088 050        |
| კაპიტალის შემცირება               | (1 406 407)           |                         | (1 406 407)      |
| <b>31 დეკემბერი, 2020</b>         | <b>-</b>              | <b>746 379</b>          | <b>746 379</b>   |
| წლის მთლიანი სრული მოგება         |                       | 673 932                 | 673 932          |
| კაპიტალის შემცირება               |                       |                         | -                |
| <b>31 დეკემბერი, 2021</b>         | <b>-</b>              | <b>1 420 311</b>        | <b>1 420 311</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.

სერგო შულაროვი

რუსუდან როსტიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ტრანსპორტერი“


კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება | საწესდებო<br>კაპიტალი | გაუნაწილებელი<br>მოგება | სულ კაპიტალი |
|-----------------------------------|-----------------------|-------------------------|--------------|
| 31 დეკემბერი, 2018                | 1 411 407             | (957 847)               | 453 560      |
| წლის მთლიანი სრული ზარალი         |                       | (383 824)               | (383 824)    |
| კაპიტალის შემცირება               | (5 000)               |                         | (5 000)      |
| 31 დეკემბერი, 2019                | 1 406 407             | (1 341 671)             | 64 736       |
| წლის მთლიანი სრული მოგება         |                       | 2 088 050               | 2 088 050    |
| კაპიტალის შემცირება               | (1 406 407)           |                         | (1 406 407)  |
| 31 დეკემბერი, 2020                | -                     | 746 379                 | 746 379      |
| წლის მთლიანი სრული მოგება         |                       | 673 932                 | 673 932      |
| კაპიტალის შემცირება               |                       |                         | -            |
| 31 დეკემბერი, 2021                | -                     | 1 420 311               | 1 420 311    |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს.



სერგო შულაროვი

დირექტორი



რუსუდან როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი



შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "ტრანსპორტერი" (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 4 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ო. თაქთაქიშვილის ქ. N12/12ა, ბ. 46.

კომპანიის წილი 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- აკაკი ალადაშვილი - 10%
- სერგო შულაროვი - 90%

ქვეყნის მასშტაბით კომპანია წარმოდგენილია თბილისში, ბათუმსა და ბაკურიანში, სადაც მომხმარებელს სთავაზობს კვადროციკლებს, ბაგის ტიპის ავტომობილებს, თოვლმავლებს, ჰიდროციკლების, კატერებს, გასაბერ ნავეებს, მცურავი საშუალებების მრავლებს, მოტოციკლებს, მოპედებს, წყლის სპორტთან დაკავშირებულ აქსესუარებს, ელექტომობილებს, აღნიშნული ტექნიკის ეკიპირებას, აქსესუარებს და სათადარიგო ნაწილებს.

2016 წლიდან წარმოადგენს კანადური კომპანია BRP-ის (Bombardier Recreational Products) და ყველა BRP-ში შემავალი ბრენდის (Can-Am, Ski-doo, Sea-doo, Lynx Evinrude და Rotax) ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში. 2017 წლის დასაწყისიდან კი გახდა ჰოლანდიური წყალზე გართობის აქსესუარების ბრენდის JOBE-ს და კატერების მწარმოებელი ამერიკული კომპანია Quicksilver-ის დისტრიბუტორი საქართველოში.

2018 წლიდან კომპანია ტრანსპორტერი გახდა მოტოციკლების და რეკრეაციული ტექნიკის იაპონური ბრენდი Kawasaki-ს ოფიციალური დისტრიბუტორი და სერვის პარტნიორი. ამავე წელს შპს ტრანსპორტერის პორტფელს დაემატა ევროპაში მოპედების გაყიდვებით პირველ სამეულში შემავალი კომპანია Kymco.

2019 წელს შპს ტრანსპორტერი გახდა ამერიკული კორპორაცია Textron Specialized Vehicles INC. და ამფიბიური ყველგანმავლების მწარმოებელი კანადური კომპანია Argo-ს ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში.

დღესდღეისობით კომპანია ტრანსპორტერი 90-ზე მეტი საერთაშორისო ბრენდის ოფიციალური დისტრიბუტორია რეგიონის მასშტაბით, მათ შორის Argo, CF Moto Husqvarna, Gardena, Volvo Penta, Carlstar Group, Grand Boats, Quicksilver Boats, Invictus Yacht და სხვა.

კომპანიას აქვს როგორც საგარანტიო, ისე გარანტიის შემდგომი მომსახურება, როგორც საკუთარი ბრენდის, ასევე სხვა ბრენდების მიერ წარმოებული რეკრეაციული ტექნიკისთვის. ხოლო გამოცდილი, სერთიფიცირებული ტექნიკოსების გუნდი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ემსახურება მომხმარებელს. ამასთან, კომპანიაში დანერგილია მობილური სერვისი, რომლის ფარგლებშიც მომხმარებელს საშუალება აქვს დარეკოს და გამოიძახოს მობილური სერვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ტექნიკის ადგილზე მომსახურებას.

2021 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 37 (2020 - 35).

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 2. მომზადების საფუძვლები

კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, არაერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

### 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

#### ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                                       | აშშ დოლარი / ლარი | ევრო / ლარი |
|---------------------------------------|-------------------|-------------|
| გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს | 3.0976            | 3.5040      |
| გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბერს | 3.2766            | 4.0233      |

## **შპს „ტრანსპორტი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

---

### **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ხარჯში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

### **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დაირიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 6 – 7 წლის მანძილზე. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

### **ფული და ფულის ეკვივალენტები.**

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### **სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალზე.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად გამიზნული სატრანსპორტო საშუალებებისგან.

## **შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შემენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ხარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

### **ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

### **საგადასახადო აქტივები**

საქართველოს საგადასახადო კანოკმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, საგადასახადოების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადოებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2021 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

### **მოგების გადასახადი**

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

### **საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.



## **შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

---

### **შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### **4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში. ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტივები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორების ნაშთების ამოღება. თუ მსხვილი დებიტორის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი, ან ფაქტობრივად ვადაგადაცილება უფრო მაღალია ვიდრე განსაზღვრული იყო, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები შესაძლოა დარეზერვდეს. კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე.

### **ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა**

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

## **შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

---

### **მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები**

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასულ და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

### **საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძვლად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

**შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

**5. ძირითადი საშუალებები**

| ძირითადი საშუალებები                        | კავშირგაბმულობის საშუალებები | ოფისის აღჭურვილობა | კომპ. ტექნიკა და მოწყობილობები | ავეჯი           | ინვენტარი       | სპეციალური ინსტრუმენტები | სარეკლამო საშუალებები | სატრანსპორტო საშუალებები | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | სულ              |
|---------------------------------------------|------------------------------|--------------------|--------------------------------|-----------------|-----------------|--------------------------|-----------------------|--------------------------|-------------------------------------|------------------|
| <b>ღირებულება 31 დეკ. 2019</b>              | <b>18 833</b>                | <b>9 603</b>       | <b>26 046</b>                  | <b>27 978</b>   | <b>51 945</b>   | <b>47 182</b>            | <b>46 208</b>         | <b>156 908</b>           | <b>28 033</b>                       | <b>412 736</b>   |
| შემენა                                      | 287                          | 85                 | 8 468                          | 12 333          | 10 519          | 23 028                   | 9 479                 | 2 011                    | 588                                 | 66 798           |
| გასვლა                                      | -                            | -                  | -                              | -               | -               | -                        | -                     | (116 056)                | -                                   | (116 056)        |
| <b>ღირებულება 31 დეკ. 2020</b>              | <b>19 120</b>                | <b>9 688</b>       | <b>34 514</b>                  | <b>40 311</b>   | <b>62 464</b>   | <b>70 210</b>            | <b>55 687</b>         | <b>42 863</b>            | <b>28 621</b>                       | <b>363 478</b>   |
| შემენა                                      | 1 822                        | 1 231              | 23 430                         | 21 501          | 16 978          | 9 179                    | 6 178                 | 47 846                   | -                                   | 66 798           |
| გასვლა                                      | -                            | (959)              | -                              | -               | (1 328)         | -                        | -                     | (4 237)                  | (23 611)                            | (116 056)        |
| <b>ღირებულება 31 დეკ. 2021</b>              | <b>20 942</b>                | <b>9 960</b>       | <b>57 944</b>                  | <b>61 812</b>   | <b>78 114</b>   | <b>79 389</b>            | <b>61 865</b>         | <b>86 472</b>            | <b>5 010</b>                        | <b>314 220</b>   |
| <b>ცვეთა</b>                                |                              |                    |                                |                 |                 |                          |                       |                          |                                     |                  |
| <b>დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2019</b>         | <b>(3 999)</b>               | <b>(5 005)</b>     | <b>(13 635)</b>                | <b>(10 421)</b> | <b>(13 330)</b> | <b>(26 798)</b>          | <b>(19 881)</b>       | <b>(48 057)</b>          | <b>(13 650)</b>                     | <b>(154 776)</b> |
| ცვეთა წლის განმავლობაში                     | (3 796)                      | (1 931)            | (5 946)                        | (6 857)         | (11 555)        | (11 701)                 | (10 516)              | (18 399)                 | (5 643)                             | (76 344)         |
| გასულის ცვეთა                               | -                            | -                  | -                              | -               | -               | -                        | -                     | 40 379                   | -                                   | 40 379           |
| <b>დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2020</b>         | <b>(7 795)</b>               | <b>(6 936)</b>     | <b>(19 581)</b>                | <b>(17 278)</b> | <b>(24 885)</b> | <b>(38 499)</b>          | <b>(30 397)</b>       | <b>(26 077)</b>          | <b>(19 293)</b>                     | <b>(190 741)</b> |
| ცვეთა წლის განმავლობაში                     | (3 785)                      | (1 348)            | (8 431)                        | (9 751)         | (12 950)        | (11 640)                 | (10 513)              | (15 502)                 | (2 749)                             | (76 344)         |
| გასულის ცვეთა                               | -                            | -                  | -                              | -               | 1 066           | -                        | -                     | 3 814                    | 18 065                              | 40 379           |
| <b>დაგროვილი ცვეთა 31 დეკ. 2021</b>         | <b>(11 580)</b>              | <b>(8 284)</b>     | <b>(28 012)</b>                | <b>(27 029)</b> | <b>(36 769)</b> | <b>(50 139)</b>          | <b>(40 910)</b>       | <b>(37 765)</b>          | <b>(3 977)</b>                      | <b>(226 706)</b> |
| <b>საბალანსო ღირებულება</b>                 |                              |                    |                                |                 |                 |                          |                       |                          |                                     |                  |
| <b>წმინდა საბალანსო ღირ-ბა 31 დეკ. 2019</b> | <b>14 834</b>                | <b>4 598</b>       | <b>12 411</b>                  | <b>17 557</b>   | <b>38 615</b>   | <b>20 384</b>            | <b>26 327</b>         | <b>108 851</b>           | <b>14 383</b>                       | <b>257 960</b>   |
| <b>წმინდა საბალანსო ღირ-ბა 31 დეკ. 2020</b> | <b>11 325</b>                | <b>2 752</b>       | <b>14 933</b>                  | <b>23 033</b>   | <b>37 579</b>   | <b>31 711</b>            | <b>25 290</b>         | <b>16 786</b>            | <b>9 328</b>                        | <b>172 737</b>   |
| <b>წმინდა საბალანსო ღირ-ბა 31 დეკ. 2021</b> | <b>9 362</b>                 | <b>1 676</b>       | <b>29 932</b>                  | <b>34 783</b>   | <b>41 345</b>   | <b>29 250</b>            | <b>20 955</b>         | <b>48 707</b>            | <b>1 033</b>                        | <b>217 043</b>   |



## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 6. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისაგან.

|                                        | 31-დეკ-21      | 31-დეკ-20      |
|----------------------------------------|----------------|----------------|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში        | 26 046         | 15 914         |
| ნაღდი ფული სალაროში                    | 2 299          | 1 769          |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში         | 479 381        | 592 262        |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>507 726</b> | <b>609 945</b> |

### 7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 31-დეკ-21      | 31-დეკ-20      |
|------------------------------------------|----------------|----------------|
| მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან | 305 849        | 104 329        |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ    | -              | -              |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>    | <b>305 849</b> | <b>104 329</b> |

### 8. სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

|                                              | 31-დეკ-21        | 31-დეკ-20        |
|----------------------------------------------|------------------|------------------|
| საქონელი                                     | 1 703 861        | 1 955 549        |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი            | 3 662            | 3 680            |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები</b> | <b>1 707 523</b> | <b>1 959 229</b> |

### 9. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 1 იანვრისთვის 1 406 407 ლარს, 2020 წლის განმავლობაში კაპიტალი შემცირდა 1 406 407 ლარი, და 2021 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 0 ლარს. 2021 წლის განმავლობაში კომპანიის მოგებამ შეადგინა 673 932 ლარი (2020 მოგება – 2 088 050 ლარი).

### 10. მოკლევადიანი სესხები

| 31-დეკ-21                        | დაწყების<br>თარიღი | დასრულების<br>თარიღი | განაკვეთი | ვალუტა | ლარი             |
|----------------------------------|--------------------|----------------------|-----------|--------|------------------|
| სს თიბისი ბანკი 4134211-11209608 | 08.12.21           | 09.05.23             | 6.76%     | ევრო   | 1 121 280        |
| სს თიბისი ბანკი 4134211-11678947 | 11.11.21           | 10.08.22             | 6%        | ევრო   | 595 680          |
| <b>სესხის ძირი</b>               |                    |                      |           |        | <b>1 716 960</b> |
| გადასახდელი პროცენტი             |                    |                      |           |        |                  |
| <b>სულ მოკლევადიანი სესხები</b>  |                    |                      |           |        | <b>1 716 960</b> |

| 31-დეკ-20                        | დაწყების<br>თარიღი | დასრულების<br>თარიღი | განაკვეთი | ვალუტა | ლარი             |
|----------------------------------|--------------------|----------------------|-----------|--------|------------------|
| სს თიბისი ბანკი 4134211-11209608 | 08.12.20           | 08.12.21             | 6.0%      | ევრო   | 1 689 786        |
| <b>სესხის ძირი</b>               |                    |                      |           |        | <b>1 689 786</b> |
| გადასახდელი პროცენტი             |                    |                      |           |        |                  |
| <b>სულ მოკლევადიანი სესხები</b>  |                    |                      |           |        | <b>1 689 786</b> |

**შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
*(ქართულ ლარში)*

**11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები**

|                                                      | 31-დეკ-2021    | 31-დეკ-2020    |
|------------------------------------------------------|----------------|----------------|
| მოწოდებიდან/მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 158 613        | 275 494        |
| გადასახდელი ხელფასი                                  | -              | -              |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>             | <b>158 613</b> | <b>275 494</b> |

**12. საერთო მოგება**

| ამონაგები                                        | 31.დეკ.21          | 31.დეკ.20          |
|--------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| საქონლის/მომსახურების გაყიდვიდან                 | 5 797 884          | 7 959 975          |
| გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა        | (22 493)           | (68 907)           |
| <b>სულ ამონაგები</b>                             | <b>5 775 391</b>   | <b>7 891 068</b>   |
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b>     |                    |                    |
| საწყისი მარაგები                                 | (1 959 229)        | (1 349 082)        |
| მარაგების შესყიდვა                               | (3 568 448)        | (5 960 579)        |
| გადმოტანა მ/ს-დან                                | -                  | (75 677)           |
| მარაგების ჩამოწერა                               | 56 377             | 72 782             |
| უსასყიდლოდ გადაცემა                              | 79 810             | 69 236             |
| გადატანა მ/ს                                     | 61 882             | 21 826             |
| საბოლოო მარაგები                                 | 1 707 523          | 1 959 229          |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>(3 622 085)</b> | <b>(5 262 265)</b> |
| <b>საერთო მოგება</b>                             | <b>2 153 306</b>   | <b>2 628 803</b>   |

**13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები**

|                                              | 31.დეკ.21        | 31.დეკ.20        |
|----------------------------------------------|------------------|------------------|
| შრომის ანაზღაურება                           | 1 601 283        | 1 256 064        |
| საიჯარო ქირა                                 | 250 369          | 297 940          |
| მივლინების ხარჯები                           | 42 062           | 38 083           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         | 78 459           | 77 628           |
| რეკლამის ხარჯები                             | 97 994           | 72 441           |
| საერთო საოფისე ხარჯი                         | 77 661           | 61 825           |
| ტრანსპ. და შენახვის ხარჯი                    | 27 443           | 38 391           |
| სხვა ხარჯები.                                | 110 962          | 106 691          |
| <b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>2 286 233</b> | <b>1 949 063</b> |

## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- (ა) მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (ბ) პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (ც) ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (დ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (ე) ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (ფ) მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (გ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული მოგება ზარალის მუხლები 2021 და 2020 წლისთვის და საბალანსო ნაშთები 2021 წლის და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| მოგება ზარალის მუხლები                   | 2021                                 | 2021                            | 2020                                 | 2020                            |
|------------------------------------------|--------------------------------------|---------------------------------|--------------------------------------|---------------------------------|
|                                          | ოპერაციები<br>დაკავშირებულ<br>პირთან | მთლიანი<br>კატეგორიის<br>ბრუნვა | ოპერაციები<br>დაკავშირებულ<br>პირთან | მთლიანი<br>კატეგორიის<br>ბრუნვა |
| ამონაგები                                | 119 515                              | 5 775 391                       | 258 131                              | 7 891 068                       |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება | (33 907)                             | (3 622 085)                     | (25 400)                             | (5 262 265)                     |
| ზოგადი და ადმინისტრაციული<br>ხარჯები     | (113 008)                            | (2 286 233)                     | -                                    | (1 949 061)                     |
| სხვა შემოსავლები                         | 788 251                              | 815 592                         | 1 821 218                            | 2 023 872                       |
| ფინანსური ხარჯი                          | (7 229)                              | (119 379)                       | (7 538)                              | (144 734)                       |
| ფინანსური შემოსავალი                     | 10 663                               | 10 663                          | -                                    | 8 888                           |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან                | 14 719                               | 239 731                         | -                                    | (358 853)                       |
| სხვა ხარჯები                             | (600)                                | (139 747)                       | -                                    | (120 865)                       |

| ფინანსური მდგომარეობის<br>ანგარიშგების მუხლები | 31.12.2021                    | 31.12.2021                  | 31.12.2020                    | 31.12.2020                     |
|------------------------------------------------|-------------------------------|-----------------------------|-------------------------------|--------------------------------|
|                                                | დაკავშირებული<br>მხარის ნაშთი | მთლიანი<br>კატეგორიის ნაშთი | დაკავშირებული<br>მხარის ნაშთი | მთლიანი<br>კატეგორიის<br>ნაშთი |
| მოთხოვნები მოწოდებიდან ან<br>მომსახურებიდან    | 24 093                        | 305 849                     | 31 250                        | 104 329                        |
| გაცემული სესხები                               | -                             | -                           | 122 231                       | 122 231                        |
| მოკლევადიანი სესხები                           | -                             | -                           | -                             | 1 689 786                      |

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2021 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 675 535 ლარს (2020-550 488 ლარი).

## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

---

### 15. მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 30 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2021 წლის მსგავსად, მსოფლიო მაშტაბით შექმნილი ვითარების შედეგად, რომელიც გამოწვეულ იქნა ახალი კორონავირუსით COVID-19, 2022 წელსაც არა ერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ კომპანიმ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.
- მსოფლიო მაშტაბით შექმნილი ვითარების შედეგად, რომელიც გამოწვეულ იქნა ახალი რუსეთი-უკრაინის ომით, 2022 წელს არა ერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ კომპანიმ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.
- 2021 წლის ბოლოს, კომპანიის მენეჯმენტმა მიიღო გადაწყვეტილება ბაკურიანის ფილიალის (მაღაზიის) დაკეთვასთან დაკავშირებით. 2022 წელს კომპანია წარმოდგენილია ქვეყნის მასშტაბით 2 ლოკაციაზე: თბილისსა და ბათუმში.
- საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიამ ასესხა შპს ტრანსპორტერ ბაიკს 8700 ევრო 6,9%-იანი განაკვეთით და 15600 ლარი 13,30%-იანი განაკვეთით (2022 წლის მაისში ეს სესხები სრულად დაიფარა). მიიღო სესხი სპს მაუნთინ რეზორტს სოლუმანსისგან 13,3%-იანი განაკვეთით 2022 წლის მარტში 32 000 ლარის ოდენობით, რომელიც დაფარა 2022 წლის აპრილში. ასევე გააფორმა საკრედიტო ხაზის ხელშეკრულება შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმანს-თან: 2022 წლის მარტში მიიღო სესხად 48 600 ევრო და აპრილში 23 000 ევრო 6,6%-იანი განაკვეთით (19.08.2022-ში ეს სესხი სრულად დაიფარა). 2022 წლის აპრილში წინსწრებით სრულად დაფარა სს თიბისი ბანკიდან ათვისებული სესხი (ხელშ. N4134211-11678947) და ისესხა 100 000 ევრო 6% განაკვეთით სს თიბისი ბანკიდან (ხელშ. N 4134211-11936199). სხვა მნიშვნელოვანი მოვლენა საანგარიშო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა